საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

ბაიკერები
რუსული კანონის წინააღმდეგ

სამართლებრივი რეპრესიები
რუსული კანონის საწინააღმდეგო
აქციებში მონაწილეობის გამო

ბაიკერები რუსული კანონის წინააღმდეგ

სამართლებრივი რეპრესიები რუსული კანონის საწინააღმდეგო აქციებში მონაწილეობის გამო

თბილისი
2024

გამოცემის ხელმძღვანელები: ნონა ქურდოვანიძე
თამარ ონიანი

ავტორი: იოსებ ედიშერაშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2024, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

კონტექსტი 4

სატრანსპორტო საშუალებით პროტესტში მონაწილეობის სამართლებრივი რეგულირება საქართველოს კანონმდებლობაში 6

- საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი 7
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმირების საჭიროება 9

ადმინისტრაციული სამართალწარმოების სამართლიანობა 10

- საჩივრის ფორმალური განხილვა 12
- მტკიცებულებების არარსებობა 13
- სანქცია (χარიმა), როგორც შეკრების თავისუფლების რეპრესიის იარაღი 13

დასკვნა 14

კონტექსტი

წინამდებარე დოკუმენტი მიმოიხილავს და აფასებს „რუსული კანონის“ საპროტესტო აქციებში მონაწილე მოტოციკლეტის მძღოლების წინააღმდეგ დაწყებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფაქტებსა და სამართლებრივ ასპექტებს, რასაც კამპანიური ხასიათი აქვს და არა განყენებული, ინდივიდუალური შემთხვევების.

შეგახსენებთ, რომ 2024 წლის 28 მაისს, საქართველოს პარლამენტმა დაძლია პრეზიდენტის ვეტო, და მიუხედავად ფართომასშტაბიანი პროტესტისა, თუ კანონის დასაბუთებული კრიტიკისა, მიიღო რუსული სტილის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი. საპროტესტო აქციების დროს ხშირი იყო ადამიანის უფლებებისა და შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების უხეში დარღვევები.[1] გარდა ამისა, კანონპროექტის ინიციირებიდან დღემდე, ხელისუფლება ძალადობრივი მეთოდებით ცდილობს სამოქალაქო სივრცის შევიწროებას.[2] საპროტესტო აქციების დროს ადგილი ჰქონდა აქციის მონაწილეების, პროტესტის მხარდამჭერების, სამოქალაქო აქტივისტების, ჟურნალისტების, პოლიტიკოსების და მათი ოჯახის წევრების (მათ შორის, ბავშვების და ოჯახის ხანდაზმული წევრების) დაშინებას, მათ მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებასა და ფიზიკურ ძალადობას.[3]

ერთ-ერთ სპეციფიკურ ჯგუფს, რომელიც რეპრესიების მსხვერპლი გახდა, მიეკუთვნებიან მოტოციკლეტის მძღოლები[4] (ე.წ. ბაიკერები), რომლებიც ხშირად მონაწილეობდნენ კანონის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებში, მარშით უერთდებოდნენ აქციებს

---

[1] **ვრცლად საპროტესტო აქციების დროს მიმდინარე დარღვევების შესახებ იხილეთ:** საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიში, საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ, თბილისი, 2024, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0.pdf, [26.08.2024].

[2] იხ: 2024 | რეპრესიების ქრონიკა, Civil Georgia, 06.08.2024, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/611962, [26.08.2024].

[3] აქციის მონაწილეთა მიმართ დაშინების ორკესტრირებული კამპანია მიმდინარეობს, Civil Georgia, 11.05.2024, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/604867 [26.08.2024].

[4] საიას ასეთი 20 პირის შესახებ აქვს ინფორმაცია.

და შემოჰქონდათ დადებითი მუხტი.[5] მიუხედავად იმისა, რომ საპროტესტო აქციებში მონაწილეობის დროს, მათ წინააღმდეგ არანაირი სანქცია არ დაწესებულა, შემდგომ პერიოდში, ქუჩაში მოძრაობის დროს, პოლიციის ეკიპაჟებმა დაიწყეს მძღოლების გაჩერება და მათთვის ადმინისტრაციული ჯარიმის დაწერა. აღსანიშნავია, რომ დაჯარიმებულთა შორის ისეთი ადამიანებიც აღმოჩნდნენ, რომლებსაც მოტოციკლეტისტთა მარშებში მონაწილეობა არ მიუღიათ. საიას ხელთ არსებული ინფორმაციით, ზემოაღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით 20 ინდივიდუალური ჯარიმა დაიწერა.

*ის პირები, ვისაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ იურიდიული კონსულტაცია გაუწია, მიუთითებდნენ, **რომ სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილების დროს, მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობის წესები არ დაურღვევიათ, პატრული გადამოწმების მიზნით აჩერებდა, თუმცა, ეს არ ყოფილა სტანდარტული, რუტინული შემოწმება, რადგან გაჩერების მიზანი იყო აქციებში მოტოციკლეტისტთა მონაწილეობის თავიდან აცილება და მსუსხავი ეფექტის შექმნა.***

*პოლიცია მხოლოდ დოკუმენტების გამორთმევით და, ზოგიერთ შემთხვევაში, იდენტიფიცირების მიზნით ფოტოსურათების გადაღებით შემოიფარგლებოდა. **ამის შემდეგ, რამდენიმე წუთის განმავლობაში, პოლიციელები ბაზაში ამოწმებდნენ ინფორმაციას და ატყობინებდნენ მძღოლებს, რომ სატრანსპორტო საშუალება ძებნაში იყო,** რაც მათ მიმართ საჯარიმო ქვითრის გამოწერის საფუძველს ქმნიდა. ამ პირებისთვის, უცნობია, რომელ ბაზაში ინახება მათ შესახებ ინფორმაცია, რა სახის ინფორმაციაა და ის რამდენი ხნით მუშავდება. აღსანიშნავია, რომ დაჯარიმების პროცესს, თან ახლდა დაშინება და მუქარა.*

დოკუმენტის მიზანია, საზოგადოებას გააცნოს კონკრეტული ჯგუფის, მოტოციკლეტის მძღოლების წინააღმდეგ მიმართული ადმინისტრაციული სამართალწარმოების შესახებ, მიმოიხილოს სატრანსპორტო საშუალებებით პროტესტის სამართლებრივი რეგულირება და შეაფასოს დადგენილებები პრობლემურ ადმინისტრა-

[5] ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც აქციის მონაწილეებს რუსთაველის გამზირზე და სხვა შეკრების ადგილებზე მარშით უერთდებოდნენ მოტოციკლეტის მძღოლები, მათ შორის ისინიც, რომლებიც დასაქმებულები არიან კურიერად და თავიანთ სატრანსპორტო საშუალებას სამუშაოდ იყენებენ. მაგ. იხ: https://www.youtube.com/watch?v=SB5ByH5cN9c ; https://mcm.ge/228014/, [26.08.2024].

ციულ საჩივრებზე. ამასთანავე, გამოკვეთოს, რამდენად შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი წარმოება მოტოციკ-ლეტის მძღოლების წინააღმდეგ საშიში პრეცედენტი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებებით დაცული სფეროსთვის.

დოკუმენტის მიზნებისთვის, საიამ ღია წყაროების მიხედვით შეისწავლა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარე პროცესები და შესაბამისი ადმინისტრაციული საქმის მასალები.

სატრანსპორტო საშუალებით პროტესტში მონაწილეობის სამართლებრივი რეგულირება საქართველოს კანონმდებლობაში

სატრანსპორტო საშუალებებით საპროტესტო აქციაში მონაწილეობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით (შეკრების თავისუფლება) დაცულ სფეროში ექცევა. შეკრების თავისუფლება შესაძლებლობას აძლევს პირს, მისი შეხედულებისამებრ აირჩიოს გამოხატვის ფორმა, საშუალება და ადგილი.[6]

ზოგადად, აღსანიშნავია, რომ გზის <u>თვითნებური</u> გადაკეტვა არ ექცევა შეკრების თავისუფლებით დაცულ სფეროში, თუმცა ტრანსპორტის სავალ ნაწილზე შეკრების ჩატარების უფლების შეზღუდვა გაუმართლებელია მაშინ, თუ გზის დაკავება მონაწილეთა სიმრავლის გამო ხდება და შეკრება სხვაგვარად ვერ გაიმართება.[7] მსგავსი სტანდარტი ვრცელდება სატრანსპორტო საშუალებებით გამოხატულ პროტესტზეც, თუმცა დაცვის სტანდარტი განსხვავდება სხვა ფორმებთან მიმართებით და დამოკიდებულია კონტექსტზე.

---

[6] ლოლაძე ბ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები კომენტარი, თბილისი, 2023, 556.

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება № 2/482,483,487,502 საქმეზე, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-37 - 45.

სატრანსპორტო საშუალებებით გამოხატული პროტესტი იზღუდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125–ე მუხლის 6[1] ნაწილით, რომელიც გულისხმობს: **„ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში სატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვა ან ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა, როდესაც გზის სავალი ნაწილი სრულად არის დაკავებული“.**

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი

125-ე მუხლის 6[1] ნაწილით შინაარსობრივ რეგულირებასთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2011 წელს იმსჯელა. **სასამართლოს შეფასებით, ნორმის დასჯად ქმედებად განისაზღვრება არა მოძრობის შეფერხება, არამედ მისი გადაკეტვა და გზის სავალი ნაწილის სრული დაკავება.** ნორმის შინაარსობრივი განმარტება მიუთითებს იმაზე, რომ 125-ე მუხლის 6[1] ნაწილით აკრძალულია გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობა, თუ ის გზის ბლოკირებას იწვევს, შეუძლებელს ხდის სხვა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობას გზის იმ მონაკვეთზე და იმ დროის განმავლობაში, რომელიც „ჯგუფურ მოძრაობაში“ მონაწილეებს აქვთ დაკავებული.[8]

ზოგადად, შეკრების (მანიფესტაციის) უფლების რეალიზაციისას თითოეული ინდივიდის თავისუფლების ფარგლები შეზღუდულია სხვათა უფლებებით, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და უშიშროების დაცვის საჭიროებით. **ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გზის სავალი ნაწილის დაკავება პროტესტის ერთ-ერთი ფორმაა, თუმცა ის დაკავშირებულია სხვათა გადაადგილების თავისუფლებასა და სხვა უფლებებთან.**[9] **ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ, სასამართლოს განმარტებით, ნორმა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეებს გზის სავალი ნაწილი სრულად არ აქვთ დაკავებული, ის არც იმ შემთხვევებს უკავშირდება, როდესაც შეკრებაში (მანიფესტაციაში) მონაწილეობის მიღების მსურველნი დანიშნულების ადგილას მათთვის სასურველი და ხელსაყრელი საშუალებით ინდივიდუალურად მიდიან.**[10]

[8] იქვე II-75.
[9] იქვე II -78.
[10] იქვე II-76.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, შეზღუდვა მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე ვრცელდება, როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მსვლელობა **ჯგუფური ხასიათისაა.** მიუხედავად იმისა, თუ სად მიემართებიან „ჯგუფურ მოძრაობაში“ მონაწილენი, ქმედების ჯგუფური ხასიათი მას მანიფესტაციას, კოლექტიურ მსვლელობას უთანაბრებს და, ამდენად, ექვემდებარება რეგულირებას.[11] საკონსტიტუციო სასამართლო უთითებს, რომ ნორმის მიზანია, სატრანსპორტო და ტექნიკური საშუალებებით გზის სავალი ნაწილის გადაკეტვა ან/და დაკავების დროს, საგანგებო ვითარებაში პოლიციის, სასწრაფო დახმარების ან სახანძრო მანქანის გადაადგილება პრაქტიკულად შეუძლებელი არ გახდეს.

აღსანიშნავია, რომ **გზის სავალი ნაწილის დაკავების შესაძლებლობა ავტოსატრანსპორტო ან ტექნიკური საშუალებების ფორმასა და ზომაზე იქნება დამოკიდებული.**[12] აქვე, სასამართლო უთითებს, რომ **საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის 6[1] ნაწილი არ გამორიცხავს ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მანიფესტაციის შესაძლებლობას, როდესაც ის საგზაო მოძრაობის წესების დაცვით, გზის სავალი ნაწილის ბლოკირების, საგზაო მოძრაობის პარალიზების გარეშე ხორციელდება.**[13]

შეკრების (მანიფესტაციის) უფლების რეალიზება შეიძლება ბუნებრივად დაუპირისპირდეს საგზაო მოძრაობის წესებს, იწვევდეს სხვათა უფლებების შეზღუდვას, ამავე დროს, შეკრების (მანიფესტაციის) უფლების რეალიზაციისას თითოეული ინდივიდის თავისუფლების ფარგლები შეზღუდულია სხვათა უფლებებით, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და უშიშროების დაცვის საჭიროებით.[14] შესაბამისად, შეკრებისა და მანიფესტაციების შემზღუდველი ნებისმიერი ღონისძიება ამ ორი ღირებულების აწონ-დაწონით უნდა განხორციელდეს, რაც მოითხოვს კონტექსტისა და მტკიცებულებების შეფასებას.

[11] იქვე II-76.
[12] იქვე II-81.
[13] იქვე II -78.
[14] იქვე II-82.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმირების საჭიროება

უმთავრესი პრობლემა დღეს მოქმედი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსია, რომელიც საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი მძიმე მემკვიდრეობაა და რომლის გამოყენებითაც ადამიანის უფლებებში გაუმართლებელი ჩარევა ხდება.[15] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი წლების განმავლობაში გამოიყენება, როგორც საპროტესტო აქციების წინააღმდეგ იარაღი, რომელიც ბლანკეტურად სჯის აქციის მონაწილეებს და აქვს მსუსხავი ეფექტი, რაც რუსული კანონის წინააღმდეგ აქციების დროსაც კარგად გამოჩნდა.[16]

1984 წელს მიღებული კოდექსი ვერ აკმაყოფილებს სამართლიანი პროცესის მოთხოვნებს, ცალკეული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ითვალისწინებს მძიმე სახდელებს, მათ შორის, ადმინისტრაციულ პატიმრობას, თუმცა, აწესებს გაცილებით ნაკლებ პროცედურულ გარანტიებს, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის მიმართ არსებობს; არ ითვალისწინებს უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნებს; მოსამართლეს არ ავალდებულებს, იხელმძღვანელოს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით. საქმის განხილვის და სანქციის გამოყენების შემჭიდროებული პროცედურები ვერ უზრუნველყოფს ეფექტიან წარმომადგენლობას. შესაბამისად, კოდექსის არსებული ფორმით მოქმედება ყოველდღიურად იწვევს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევას.

საია წლების განმავლობაში ადვოკატირებს კოდექსის შეცვლას,[17] რეფორმის აუცილებლობაზე უთითებს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტიც.[18] იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2023 წლის

---

[15] იხ: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა რეფორმის დაუსრულებელი მცდელობები და წარმატებული სტრატეგიული სამართალწარმოება, თბილისი, 2021. https://gyla.ge/files/news/%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98/2021/GetFileAttachment-2.pdf [26.08.2024].

[16] იხ: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიში, საქართველო 2023 წელს სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის შეფასება, თბილისი 2024, 22.

[17] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა სისტემურად უნდა გადაიხედოს, 29.06.2017 https://gyla.ge/ge/post/administraciul-samartaldarghvevata-kanonmdebloba-sistemurad-unda-gadaikhedos#sthash.LvXQEkL0.dpbs, [26.08.2024].

[18] United Nations human rights committee, Concluding observations on the fifth periodic

სამოქმედო გეგმის პირველი საკითხი, წინა წლის გეგმის მსგავსად, სწორედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალ კოდექსზე მუშაობას შეეხება. გეგმის მიხედვით, ამჯერად უკვე 2023 წელს უნდა შემუშავებულიყო კანონპროექტის სამუშაო ვერსია.[19] მოთხოვნის მიუხედავად, წლის განმავლობაში განხორციელებული კონკრეტული აქტივობების შესახებ ინფორმაცია პარლამენტს საიასთვის არ მოუწოდებია.[20] შესაბამისად, კოდექსი განაგრძობს არსებობას, როგორც ადამიანის უფლებათა შეზღუდვის ავტორიტარიანული მექანიზმი.

ადმინისტრაციული სამართალწარმოების სამართლიანობა

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი ავალდებულებს ორგანოს, იხელმძღვანელოს კანონითა და მართლშეგნებით, მტკიცებულებები შეაფასოს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათ ერთობლიობაში.[21] ადამიანის უფლებათა კონსტიტუციური და საერთაშორისო სტანდარტი ასევე ავალდებულებს სახელმწიფოს, მართლმსაჯულების მტკიცებულებებზე დაყრდნობით დასაბუთებას.[22]

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის შესაბამისად, გარანტირებულია აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებების დაცვა, ხოლო კონსტიტუციის 21 -ე მუხლი იცავს ადამიანთა შეკრების თავისუფლებას. ნებისმიერი შეკრება ან გამოხატვა დაცულია კონსტიტუციით და მასში ჩარევა ან ჩარევის შეფასება უნდა განხორციელდეს თანაზომი-

---

report of Georgia, CCPR/C/GEO/CO/5, 2022, 6. https://documents.un.org/doc/undoc/gen/g22/486/66/pdf/g2248666.pdf, [26.08.2024].

[19] საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 2023 წლის სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/OpenFile/6145, [26.08.2024].

[20] საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 30 მაისის წერილი №3986/2-7/23; 2023 წლის 4 დეკემბრის წერილი №9298/2/7/23.

[21] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 237.

[22] Yüksel Yalçınkaya v. Türkiye [ECtHR], App. no. 15669/20, 26 September 2023, para. 337-341;, Cupiał v. Poland [ECtHR], App. no. 67414/11, 9 March 2023, para 57; (მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები შეეხება სასამართლო პრაქტიკას, თუმცა ისინი ვრცელდება სამართლის ადმინისტრირების ყველა ეტაპზე იხ: Council of Europe Committee of ministers, Recommendation CM/Rec(2010)12), 2010.

ერების პრინციპის დაცვით, რომელიც მოიცავს ჩარევის ლეგიტიმური მიზნის,[23] ჩარევის გამოსადეგობის,[24] ჩარევის აუცილებლობისა[25] და ჩარევის პროპორციულობის დადგენას.[26]

პროპორციულობის შეფასებისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებას დაცვის მაღალი სტანდარტი აქვს, რადგან ეს უფლებები ფუნდამენტურია დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის.[27] ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს კარგად განმტკიცებულ სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებულია შეზღუდვების პროპორციულობის დადგენის სტანდარტი, რომლის თანახმადაც, ღონისძიების პროპორციულობის განხილვისას მხედველობაში უნდა მიიღებოდეს განსახორციელებელი ზომის მსუსხავი ეფექტი.[28] მაგალითად, ხელის შეშლა ინდივიდისთვის, რომელიც მიემგზავრება შეკრებაზე დასასწრებად,[29] ან სხვაგვარი დაბრკოლება, ან შეკრების შემდგომ მის მიმართ განხორციელებული სხვადასხვა რეპრესიული მექანიზმი, რაც, შესაძლოა, უსაფუძვლო სამართალწარმოებაშიც გამოვლინდეს, ეწინააღმდეგება შეკრების თავისუფლების უფლებას, რადგან ასეთ ქმედებებს აქვს სამომავლო მსუსხავი ეფექტი საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მსურველებისთვის.[30] ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში დაადგინა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებათა შეზღუდვისას შესაბამისი და საკმარისი არგუმენტაციის ნაკლებობა შეუსაბამოა გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებაში ჩარევის განხილვისას.[31]

საიას წარმოებაში არსებულ საქმეებზე თითოეული ადმინისტრაციული ჯარიმა შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-6 პრიმა პუნქტის საფუძველზე. აქვე,

---

[23] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის 2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II 4,28.

[24] იქვე II-129-133.

[25] იქვე II-46-70.

[26] იქვე II-38.

[27] Bychawska-siniarska D., Protecting the Right to Freedom of Expression Under the European Convention on Human Rights, Council of Europe, 2017, 11-17.

[28] Christian Democratic People's Party v. Moldova [ECtHR], App. no. 28793/02, 14 February 2006, para 77.

[29] Kasparov v. Russia [ECtHR], App. no. 53659/07, 11 October 2016 para. 67.

[30] Nurettin Aldemir and others v. Turkey [ECtHR], App. nos. 32124/02, 32126/02, 32129/02, 32132/02, 32133/02, 32137/02 and 32138/02, 18 December 2007, para 37.

[31] Uj v. Hungary Application [ECtHR], App. no. 23954/10, 19 July 2011, para. 25-26; Sapan v. Turkey [ECtHR], App. no. 44102/04, 08 June 2010, para. 35-41.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე შემთხვევაში, მოპედი გააჩერეს, ჩამოართვეს და საჯარიმო სადგომზე გადაიყვანეს (მაშინაც, როდესაც მოპედს მართავდა არამესაკუთრე პირი) ისეთ დღეს, როდესაც აქცია არ ტარდებოდა. მესაკუთრის მისვლის შემდეგ კი, მას საჯარიმო ქვითარი გადაეცა.

***საგანგაშოა, რომ** შსს-ს, უფლებაში ჩარევის სამართლიანობასთან დაკავშირებით, არცერთ ამ შემთხვევაზე არ წარმოუდგენია შესაბამისი არგუმენტაცია, საქმეები არ შეფასებულა გამოხატვის თავისუფლების საკონსტიტუციო და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ასევე არ წარმოუდგენიათ არგუმენტები, თუ კონკრეტულად რა დროს და რა ადგილას ჩაიდინა სამართალდამრღვევად ცნობილმა პირმა სამართალდარღვევა.*

ამის ნაცვლად, ამ პირებს აძლევდნენ მხოლოდ ზოგად განმარტებებს საჯარიმო ქვითრის გამოწერის საფუძვლებთან დაკავშირებით, რომ ისინი მონაწილეობდნენ სატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულ მსვლელობაში, რითაც კეტავდნენ გზას.

თუმცა, კითხვაზე, თუ კონკრეტულად რა დროს, ან რა ადგილას იმყოფებოდა ეს პირი, პატრულ-ინსპექტორები ვერ პასუხობდნენ და ვერც შესაბამის მტკიცებულებებზე მიუთითებდნენ, რაც საჯარიმო ქვითრის გამოცემას დაედო საფუძვლად.[32]

საჩივრის ფორმალური განხილვა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ რამდენიმე ასეთ საქმეზე ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და სასამართლოს. ჯამში 10-მდე საჩივარი გაიგზავნა, თუმცა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს ჯერ-ჯერობით მხოლოდ 4 მათგანზე აქვს გადაწყვეტილება მიღებული, ხოლო სასამართლოს საჩივრები ჯერ არ განუხილავს (2024 წლის 13 აგვისტოს მდგომარეობა). ის საქმეები კი, რომლებიც განხილულია, არის ნაწილი იმ ტენდენციისა, რომელსაც სხვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებშიც აქვს ადგილი. **კერძოდ, საჩივარი მხოლოდ ფორმალურად არის განხილული და, მხოლოდ პოლიციელის ჩვენებაზე დაყრდნობით, ბლანკეტურად ეკისრება პირებს**

[32] შინაგან საქმეთა სამინისტროს დადგენილება MIA 2 24 0204666; დადგენილება MIA 2 24 02102880; დადგენილება MIA 8 24 02047176.

ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობა.[33]

ეს, მათ შორის, იმაშიც გამოიხატა, რომ დადგენილებებში მხოლოდ კოდექსის ნორმებია მითითებული და მოკლებულია ყველანაირ შეფასებით მსჯელობას, რიგი ფაქტობრივი გარემოებები საქმეში არ დაზუსტებულა. საგულისხმოა, რომ მოტოციკლეტის მძღოლების ნაწილის განცხადებით, რიგ შემთხვევაში, როდესაც ისინი პროტესტს გამოხატავდნენ, **მათი მსვლელობისას გზა გახსნილი იყო, სხვა ტრანსპორტი მოძრაობდა და თანაც, მათ საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი აცილებდა.** საპატრულო ეკიპაჟს კი, ადგილზე მათთვის არც სამართალდარღვევის თაობაზე მიუთითებია და არც დაუჯარიმებია.

მტკიცებულებების არარსებობა

ყველა დავისთვის დამახასიათებელი იყო მტკიცებულებების არარსებობა. საჩივრის ავტორების მოთხოვნის მიუხედავად, შინაგან საქმეთა სამინისტროს არ წარმოუდგენია არც რაიმე სახის ვიდეო, არც ფოტომასალა, რომელიც დაადასტურებდა პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენას. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დადგენილებაში პირდაპირ არის მითითება, რომ არ არსებობს სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეო ან ფოტომასალა. თავად დადგენილებები ემყარება ზოგად მსჯელობას მტკიცებულებების კვლევის და შეფასების გარეშე.[34]

სანქცია (ჯარიმა), როგორც შეკრების თავისუფლების რეპრესიის იარაღი

ზემოხსენებული საჩივრების განხილვის პროცედურა, საქმის გარემოებები, მტკიცებულებების ნაკლებობა, დადგენილებების ბლანკეტურობა და დაუსაბუთებლობა, მაჩვენებელია იმისა, რომ, საბოლოო ჯამში, გამოყენებული ადმინისტრაციული ჯარიმები უპირველეს ყოვლისა კრიტიკული აზრის დასჯის, დაშინებისა და რეპრესიების იარაღია.

---

[33] ადმინისტრაციული საჩივრების ფორმალური განხილვის მსგავსი ტენდენცია წლების განმავლობაში წარმოადგენს პრობლემას საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში. იხ: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიში, საქართველო 2023 წელს სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის შეფასება, თბილისი 2024, 22 – 24.

[34] იქვე.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილებების ფორმალურობა, დაუსაბუთებლობა და ბლანკეტურობა ასევე გავრცელებულია სხვა ადმინისტრაციულ სამართლებრივ სასამართლო აქტებში,[35] რაც სასამართლო სისტემას, რომელიც უნდა იყოს ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმი და გარანტი, აქცევს კიდევ ერთ სადამსჯელო ინსტიტუტად.

დასკვნა

ბაიკერების წინააღმდეგ რეპრესიები იმ ფართომასშტაბიანი კამპანიის ნაწილია, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების, აქტივისტებისა და სხვა დისიდენტების წინააღმდეგ მიმდინარეობს რუსული კანონის ინიციირების შემდეგ. რეპრესიებისა და ძალადობის მსხვერპლი რამდენჯერმე გახდნენ სტუდენტები,[36] სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები[37] და სხვა პირები, რომლებიც აპროტესტებდნენ რუსულ კანონს და ზოგადად არსებულ უფლებების მზღუდავ სახელმწიფო პოლიტიკას.[38] ერთიანობაში ეს ქმედებები ემსახურება სამოქალაქო სივრცის შევიწროებასა და კრიტიკული აზრის ჩახშობას, რომელიც იწვევს დემოკრატიულ უკუსვლას. ბაიკერები, როგორც სხვა

---

[35] იხ: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიში, საქართველო 2023 წელს სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის შეფასება, თბილისი 2024, 22 – 24.

[36] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება, საია ეხმიანება „რუსული კანონის" მოწინააღმდეგე სტუდენტის მიმართ განხორციელებულ მორიგ ძალადობას. 07.06.2024. ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/saia-ekhmianeba-rusuli-kanonis-motsinaaghmdege-studentis-mimart-gankhorcielebul-morig-dzaladobas#sthash.rHkWkC0L.hPV8xYtH.dpbs, [26.08.2024].

[37] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს მოქალაქეებზე ხელისუფლების მიერ მართულ ძალადობას გმობენ, 13.06.2024, ხელმისაწვდომია: https://www.gyla.ge/ge/post/qartuli-arasamtavrobo-organizaciebi-saqartvelos-moqalaqeebze-khelisuflebis-mier-martul-dzaladobas-gmoben#sthash.QKyfBQKE.Xx7Vmc8y.dpbs, [26.08.2024].

[38] იხ: იხ: 2024 | რეპრესიების ქრონიკა, Civil Georgia, 06.08.2024, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/611962, [26.08.2024], საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიში, საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ, თბილისი, 2024, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%-E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0.pdf [26.08.2024].

პირები, მონაწილეობდნენ აქციებში, ისინი მარშით უერთდებოდნენ აქციებს, რითაც შემოჰქონდათ საპროტესტო მუხტი. ბაიკერების მიმართ გაცემული ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული დადგენილებები მოკლებულია სამართლებრივ დასაბუთებას, ბლანკეტურად და არგუმენტების გარეშე აკისრებს პირებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და მათი მიზანია შექმნას მსუსხავი ეფექტი, რომელიც ხელს შეუშლის სამომავლოდ ბაიკერების უფლებების რეალიზაციასა და პროტესტებში მონაწილეობას. შსს-ს არ წარმოუდგენია შესაბამისი დასაბუთება უფლებაში ჩარევის თანაზომიერებასთან დაკავშირებით, საქმეები არ შეუფასებიათ გამოხატვის თავისუფლების საკონსტიტუციო და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ასევე არ წარმოუდგენიათ არგუმენტები, თუ კონკრეტულად რა დროს და რა ადგილას ჩაიდინა სამართალდამრღვევად ცნობილმა პირმა სამართალდარღვევა.